

## განმარტებითი ბარათი

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავება განაპირობა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ პროექტის მომზადებამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი მიზნად ისახავს მის შესაბამისობაში მოყვანას „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსთან“ ვინაიდან, აღნიშნული კოდექსის შესაბამისად განხორციელდება ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის პრინციპები და საბიუჯეტო ურთიერთობები. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია სახლმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები სრულად დარეგულირდეს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ახალი რედაქციით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე  
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე  
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით  
ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები  
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ  
ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ  
პირთათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება  
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ  
პირებზე რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან  
სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან  
სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ  
სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში  
საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ  
საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული  
ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.